



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 226

2022 წლის 16 დეკემბერი

ქ. თბილისი

2022 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიების დამტკიცების შესახებ

“ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის და პირობების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-13 მუხლის, „2022 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 6 აპრილის №54 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1618224, 16.12.2022) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს 2022 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში შემოსული პროექტების რანჟირებული სიები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს 2022 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.
3. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2022 წლის 21 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
 - ა) ახალგაზრდა მეცნიერის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც ჩაირიცხება სტიპენდია;
 - ბ) მასპინძელი ორგანიზაციის ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის/შპს (უსდ) შემთხვევაში მიზნობრივი ანგარიშის

რეკვიზიტები - ამ პროექტისათვის ცალკე გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

გ) ცნობა იმის შესახებ, რომ მასპინძელ ორგანიზაციას არ გააჩნია სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება;

დ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს დანართი N2-ით გათვალისწინებულ გამარჯვებული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2022 წლის 30 დეკემბრისა.
5. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ეკატერინე ბუთლიაშვილი

ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი